ქ. წალენჯიხა
წელი

20 თებერვალი 2023

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N2

2023 წლის 20 თებერვალს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: მანანა ჭანია, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვთანდილ გაბელია.
დაწყების დრო: 14:00-სთ.
დასრულების დრო: 15:00-სთ

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   პროექტის წარმომდგენი: მერაბ შონია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

2. სხვადასხვა

მოისმინეს 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების

განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოადგინა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის მხარდაჭერის განყოფილების უფროსმა მერაბ შონიამ. დადგენილების პირველი და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული დაფინანსების თაობაზე ბენეფიციარები ხშირად მიმართავენ მერიას ფაქტის დადგომიდან რამდენიმე თვის შემდეგ, რაც წლის ბოლოს ქმნის მთელ რიგ წინააღმდეგობას. აღნიშნული მოითხოვს ცვლილებას, რათა ბენეფიციართა დაფინანსება მოხდეს დამდგარი ფაქტიდან 6 თვის ვადაში.

მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ბენეფიციარზე საგარანტიო წერილის გაცემას. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური კვლევა ჩაუტარდა და მერე მიმართა მერიას, არსებული წესით დაფინანსება არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში შესატანია შესაბამისი ცვლილება.

მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში არსებული ჩანაწერით, მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. ამიტომ შემდგომ ამ გადაწყვეტილების განხილვა „სოციალურ კომისიაზე“ აუცილებელი არ არის. შესაბამისად მე-4 პუნქტი ამოსაღებია.

მე-19 და მე-20 მუხლები ითვალისწინებს მიმდინარე წელს დამდგარი იურიდიული ფაქტის განხილვას. იშვიათ შემთხვევაში წლის ბოლო თვეს დამდგარი ფაქტის გამო მოქალაქეები მერიას მიმართავს ახალი წლიდან, ან ბოლო თვეს შემოსული განცხადებების განხილვა მიზეზთა გამო ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რათა წინა წლის 1 დეკემბრიდან დამდგარი ფაქტების განხილვა ხდებოდეს მიმდინარე წელს.

კომისიის წევრებს ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ, სხდომის თავმჯდომარე რაისა ჩანგელიამ, კენჭისყრაზე დააყენა განხილული საკითხი, კომისიის წევრებმა საკითხი ერთხმად ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/